

თრუსოს ეთნოდემოგრაფიული დინამიკის ზოგიერთი ასპექტი

ლავრენტი ჯანიაშვილი

საქართველო

2000-იანი წლების დასაწყისიდან რუსულ ანალიტიკურ წრეებში შემუშავდა კავკასიაზე მესამე რუსული შეტევის კონცეფცია, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს საკითხს. რუსული შეტევის საბოლოო მიზანს საქართველოს დაშლა და მისი ტერიტორიის დიდი ნაწილის: რაჭის, შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი), ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და ბორჯომის ხეობის (ე.წ. თრიალეთის ოსეთი) „ერთიან ოსურ სახელმწიფოში“ შეყვანა წარმოადგენს. შედეგად, რუსეთი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალით უშუალოდ დაუკავშირდება სომხეთს და ბათუმის პორტს, ასევე მნიშვნელოვნად გაიზრდება რუსული სამხედრო მობილობა სამხრეთის მიმართულებით¹. ამგავრ გეოპოლიტიკურ პერსპექტივში, მნიშვნელოვანი როლს ანიჭებენ თერგის ზემო წელის „სამხრეთ ოსეთისათვის“ გადაცემას, რაც ფაქტობრივად დარიალის ხეობის გაკონტროლების და საქართველოსათვის უძველესი ისტორიული ფუნქციის ჩამორთმევის წინაპირობას წარმოადგენს. სასურველი რეალობისათვის ნიადაგის შემზადების მიზნით, გახშირდა პუბლიკაციები, რომლებშიც ცდილობენ „ერთიანი ოსური სახელმწიფოს“ შემადგენლობაში ყაზბეგის რეგიონის შეყვანა, ისტორიული სამართლიანობის აღდგენად მონათლონ². ამრიგად, გაუკაცრიელებული თერგის ზემო წელი, (ისტორიული ქართული პროვინცია, თრუსო, სადაც XVII საუკუნეში ოსები დამკვიდრდნენ), „აღმოსავლეთ ოსეთად“ გამოაცხადეს, აქედან ოსების „განდევნაში“ ქართველებს ადანაშაულებენ და

¹ Чернов М. Осетия - Рождение большой мечты. М., 2013, გვ. 9, 18, 20-21.

² Остаев С. Восточная Алания. Никто не забыт, ничто не забыто, 11.02.2019:

<https://respublikarso.org/analytics/2416-vostochnaya-alaniya-nikto-ne-zabyt-nichto-ne-zabyto.html>; Козаев С. Отрезанная от дома Восточная Осетия: вернуть нельзя забыть... газета «Южная Осетия», 24.08.2017: <http://www.nykhas.ru/340439/otrezannaya-ot-doma-vostochnayaosetiya-v/>; Восточная Осетия: дискриминация осетин продолжается. газета „Южная Осетия“ (Главная), 12.09.2018:

<https://ugo-osetia.ru/obshhestvo/vostochnaya-osetiya-diskriminatsiya-osetin-prodolzhaetsya> Медоев прокомментировал проблему Восточной Осетии, которая была „отторгнута большевиками в ходе создания Юго-Осетинской автономии“. „Южная Осетия“, 30.01.2019: [https://sputnik-ossetia.ru/SouthOssetia/20190130/7992449/Glava-MID-Yuzhnoy-Osetii-rano-ili-pozdno-my-vernemzemli-Vostochnoy-Osetii.html](https://sputnik-ossetia.ru/SouthOssetia/20190130/7992449/Glava-MID-Yuzhnoy-Osetii-rano-ili-pozdno-my-vernem-zemli-Vostochnoy-Osetii.html) <https://sputnikossetia.ru/SouthOssetia/20190130/7992449/Glava-MID-Yuzhnoy-Osetii-rano-ili-pozdno-my-vernemzemli-Vostochnoy-Osetii.html>

ნიადაგს ამზადებენ რათა იგი „ოსურ სახელმწიფოს“ დაუბრუნდეს. ასეთი კონიუნქტურის ზეგავლენით ზოგმა თანამედროვე ავტორმა თრუსოსა და ლუდას ოსური მოსახლეობისაგან დაცლა უპირობოდ დაუკავშირა ქართული ხელისუფლების პოლიტიკას, რომელიც, მათ თანახმად, ხანგრძლივად და მიზანმიმართულად ცდილობდა ოსთა აყრას „აღმოსავლეთ ოსეთის ისტორიული მიწებიდან“.

ცალკეულ ინტერნეტ გვერდებზე წერენ, რომ ქართულმა ხელისუფლებამ ოსების ისტორიული სამკვიდრო იძულებით შეუერთა ყაზბეგისა და დუშეთის რაიონებს. ოსთა გაძევების მიზნით იგი ახორციელებდა: დისკრიმინაციას ეთნიკური ნიშნით, საკუთრების უფლების უხემ დარღვევებსა და ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარების ხელოვნურ დამუხრუჭებას. 2018 წელს ცხინვალში გამართული ოსების X სახალხო ყრილობის მიმართვაში ნათქვამია: „ქართველები ბარბაროსულად ანადგურებენ ოსურ ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლებს აღმოსავლეთ ოსეთში, იტაცებენ ოსთა საკუთრებას, ანგრევენ ან ისაკუთრებენ საცხოვრებლებს, ბილწავენ საფლავებს“. ნეგატიური განწყობის გამძაფრების მიზნით არ ერიდებიან ოფიციალური სტატისტიკის და რეალური სურათის გაყალბებას. წერენ, რომ: 1989 წლისათვის ყაზბეგის რაიონში 4969 ოსი ცხოვრობდა, ხოლო 2002 წლისათვის მათი ოდენობა 189-მდე შემცირდა¹ (სინამდვილეში ყაზბეგის რაიონის ოსი ეროვნების მოსახლეობა 1989 წლის აღწერის მიხედვით შედაგენდა – 445, 2002 წლისთვის კი 89 ადამიანს);² მდინარეების თერგისა და არაგვის ზემო წელი თრუსო, კობი და ლუდა მიჩნეულია ოსი ეთნოსის ფორმირების მთავარ კერად, რომელიც 1922 წლამდე „სამხრეთ ოსეთის განუყოფელ ტერიტორიას“ წარმოადგენდა; აცხადებენ, თითქოს აქ მდებარეობს ოსური ტრიპოსტატის მნიშვნელოვანი სინმინდე „თარანჯელოსის“ [ქართ. მთავარანგელოზი – ლ.ჯ.] სალოცავი; მდ. სუატისის მარჯვენა ნაპირას აღმოჩენილი წარწერა მიიჩნის უძველეს (1326 წ.?) ალანურ წარწერად; ოსებს მიაკუთნეს მატერიალური კულტურის ძეგლები, ტოპონიმისა და ა.შ.³

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თერგის ზემო წელიდან ოსთა გადასახლების გამომწვევი ფაქტორების შესწავლამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. მათ გამოსაკვლევად წინამდებარე სტატიაში განხილულია ოსთა ადგილმონაცვლეობის დინამიკის რამდენიმე ასპექტი: 1. დემოგრაფიული პროცესები დიაქრონულ ქრონოლოგიაში 2. სამეურნეო ყოფა სხვადასხვა

¹ Восточная Осетия: дискриминация осетин продолжается, 12.09.2018:

<https://ugo-osetia.ru/obshhestvo/vostochnaya-osetiya-diskriminatsiya-osetin-prodolzhaetsya>

² Каберты Н. Динамика численности и расселения осетин в Грузии между переписями населения 1989 и 2002 годов. Известия СОИГСИ, 2013, 9 (48), გვ. 96.

³ Грузинские миражи или осетинские реалии, 24.07.2015:

<http://cominf.org/node/1166505685>; Калоев Б. Осетины: Историко-этнографическое исследование. М., 1967, გვ. 53.

პერიოდში და მისი გავლენა მოსახლეობის რაოდენობაზე 3. სისტემური (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური) ტრანსფორმაციის კორელაცია მიგრაციულ პროცესთან.

ისტორიული წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ რომ თრუსოში ოსები XVII საუკუნის შუა ხანებიდან დამკვიდრდნენ¹. 1780 წლის აღწერის მასალის თანახმად, აქ შედიოდა შემდეგი სოფლები: რესი (5 საკომლო მამულით), ტეფი (6 საკომლო მამული), გიმარა (11 საკომლო მამული 12 კომლზე), ყაყიდური (7 საკომლო მამული 8 კომლზე), ქარათყაუ (8,5 საკომლო მამული 9 კომლზე), დესი (6 საკომლო), ქვემო დესი (4 საკომლო), ზაქაგორი (2 საკომლო), საოტი [სუატისი? – ლ. ჯ.] (5 საკომლო), აბანო (7 საკომლო), ქეთერი [ქეთრისი – ლ.ჯ.] (9 საკომლო). სულ ხეობის 11 სოფელში აღწერილია 73 კომლი². ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ ხეობაში XVIII საუკუნის ბოლოს ცხოვრობდა არცთუ მრავალრიცხოვანი ოსური ჯგუფი, სულ 73 კომლი (დაახლოებით 350-500 ადამიანი), რომელთა ერთი ნაწილი ეთნიკურად ქართველი იყო³. 1802 წლის მონაცემებით თრუსოს 12 სოფელში, რომელიც ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილის სამფლობელოს შეადგენდა, 158 კომლი და 991 სული იყო აღრიცხული; 1831-1832 წლების კამერალური აღწერის დავთრით, თრუსოში 190 კომლი და 955 სული ცხოვრობდა; 1860 წელს თრუსოში 216 კომლი (1.304 სული) იყო; 1873 წელს შესაბამისად – 226 კომლი (1.393 სული). 1886 წლისათვის კი – 240 კომლი (1.627 სული)⁴.

1926 წელის აღწერით მთლიანად ყაზბეგის რაიონში (ძირითადად თერგის ზემო წელი და ლუდა) ცხოვრობდა 2.514 ოსი (რაიონში სულ მკვიდრობდა – 8 033 ადამიანი); 1939 წლის აღწერით – 3529 ოსი (სულ – 10183 ადამიანი); 1959 წ. – 2007 ოსი (სულ – 7 927); 1970 წ. 983 – ოსი (სულ – 7 139); 1989 წ. – 445 ოსი (სულ – 6376); 2002 წ. – 89 (სულ – 5264); 2014 წ. – 13 (სულ – 3795)⁵. ამრიგად, XVII საუკუნიდან გასული საუკუნის 40-იან წლებამდე თერგის ზემო წელზე ოსთა რაოდენობა განუხრელად იზრდებოდა, შემდეგ კი დაიწყო მათი რიცხვის სწრაფი შემცირება. 1939-2014 წწ. ყაზბეგის რეგიონის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ტრანსფორმაციას და რაოდენობის ცვლილებას თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ქვემოთ მოტანილი სქემა.


¹ რ. თოფჩიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოსტორიის საკითხები. თბ., 1997, გვ. 216.

² გ. თოგოშვილი. საქართველო ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ., 1969, გვ. 196.

³ ვ. ითონიშვილი. ხევი. გზამკვლევი. თბ., 1984, გვ. 4.

⁴ რ. თოფჩიშვილი. თრუსო საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე (თრუსოელები XVII საუკუნის შუა ხანებამდე და შემდეგ). თბ., 2019, გვ. 22-23.

⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის აღწერის შედეგები; Население Грузии: <http://www.ethno-kavkaz.narod.ru/mgeorgia.html>; რ. თოფჩიშვილი. თრუსო საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე. გვ. 23; Каберты Н. Динамика численности и расселения осетин в Грузии между переписями населения 1989 и 2002 годов. გვ. 96;



გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან ყაზბეგის რეგიონში ქართველების რიცხვი განახევრდა, ოსები კი ფაქტობრივად აღარ ცხოვრობენ. ოსთა რაოდენობის ნახტომისებური კლება აშკარაა გასული საუკუნის 40-60-იან წლებში (3529-დან 983 ადამიანამდე).

თერგის ზემო წელის ოსური მოსახლეობის დემოგრაფიის დინამიკაში გამოიყოფა ოთხი ეტაპი: I. XVII ს – XIX საუკუნის პირველი ნახევრი (ოსთა რაოდენობა მცირედ გაიზარდა); II. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან 1944 წლამდე (მათმა რიცხვმა მნიშვნელოვანად მოიმატა); III. 1944 წლიდან 1989 წლამდე (ოსთა რაოდენობა ნახტომისებურად შემცირდა); IV. 1989 წლიდან დღემდე (ოსებმა მთლიანად დატოვეს რეგიონი).

მოსახლეობის რიცხოვნება ყველა ეტაპზე უკავშირდებოდა ბუნებრივ-სამეურნეო რესურსების ოდენობასა და მათი ათვისების ტექნოლოგიას. თრუსოს მკაცრად შემოფარგლული ეკოსამეურნეო გარემო თავისთავად ზღუდავდა მოსახლეობის ზრდას. თერგის ზემო წელი (თრუსო, ხევი) მაღალმთიან ზონაშია მოქცეული, თუმცა პირობითად აქაც განასხვავებდნენ მთისა (ფერდობებზე შეფენილ) და ბარის (თერგისპირა დაბლობის) სახნავ-სათესებს. მე-19 საუკუნემდე მინათმოქმედებას აქ უფრო აქტიურად მისდევდნენ და სახნავ-სათესებადაც უფრო მეტი ფართობი იყო გამოყენებული. მოსავლიანობის თვალსაზრისით საუკეთესოდ მზიანი, მზორე ადგილები, ოსურად „ხუშარი“ მიწები ითვლებოდა. ნაკლებმოსავლიანი იყო ჩრდილოეთი ფერდის „ცაგათა“ ნაკვეთები¹. მთის სიმწირისა და მცირემიწი-

¹ გ. ჯალაბაძე. მინათმოქმედება თერგის ხეობაში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1961, 22-II, გვ. 230.

ანობის გამო ნიადაგი ყოველწლიურ განოციერებას მოითხოვდა. ძლიერ დაფერედებული სავარგული მის დამუშავებას ართულებდა, ამიტომ შედარებით მცირე ზომისა და პრიმიტიულ სახნისს იყენებდნენ. სამინათმოქმედო იარაღი და მიწის დამუშავების ხერხები ხევის მოსახლეობის მსგავსი იყო¹. მიუხედავად იმისა, რომ მიწათმოქმედებას მეურნეობაში საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილი ეჭირა, თერგის ზემო წელის მოსახლეობას ხვნა-თესვით მიღებული მოსავალი არ ჰყოფნიდა და დანაკლისს საქართველოს ბარის რეგიონებიდან ივსებდა. ამასთანავე, მართალია, მესაქონლეობას (მოგვიანებით უფრო მეცხვარეობას) მნიშვნელოვანი წილი ეჭირა საოჯახო მეურნეობაში, მაგრამ ზამთარში საქონლის გამოკვების სირთულისა და საზამთრო საძოვრების ძნელადმისანვდომობის გამო, ეს დარგი შეზღუდული იყო და XIX საუკუნემდე ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების მონაცვლეობა არ დასტურდება. ხევისა და თრუსოს მესაქონლეები კახეთის ველებზე კონკურენციას ვერ უწევდნენ კახელებთან მჭიდრო სამეურნეო კონტაქტში მყოფ თუშებს, ხოლო ქართლის ზამთრის საძოვრებზე – მთისწინა ზოლის მოსახლეობას². ბაგურ კვებაზე დიდი რაოდენობით ცხვრის შენახვა შეუძლებელია, ამიტომ თუ ოჯახს ორ ათეულ სულზე მეტი ცხვარი ჰყავდა უკვე ბართან კავშირზე უნდა ეზრუნა³. ამგვარ სამეურნეო პირობებში რეგიონს მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ოდენების გამოკვება შეეძლო, რის გამოც XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე იგი არც თუ ხალხმრავალი იყო. ამასთანავე, ქართლის ბართან სამეურნეო კავშირების აუცილებლობა ზრდიდა აქაური ოსების ქართულ სახელმწიფოს ორგანიზმში ინტეგრაციის ხარისხს. საქართველოში რუსთა გაბატონების დროისათვის თერგისა და არაგვის ზემო წელის ოსური მოსახლეობა თავს ქართული პოლიტიკური ორგანიზმის წევრად მიიჩნევდა, რაც მკაფიოდ ჩანს XIX საუკუნის მწერლის, ოსური პროზის ფუძემდებლად სახელდებული სეკა გადიევის ნაწარმოებებში⁴.

თერგის ზემო წელის ოსური მოსახლეობის დემოგრაფიული პროცესების დინამიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სოციალური და სამეურნეო-ეკონომიკური გარემოს რადიკალურმა ტრანსფორმაციამ XIX საუკუნეში. საქართველოში რუსეთის გაბატონების შემდეგ სამეურნეო ურთიერთობის ვექტორი სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით შეიცვალა, რაც ტრადიციული ყოფის და სოციალ-ეკონომიკური გარემოს რადიკალუ-

¹ გ. გელაშვილი. იულიუს კლაპორტი ოსების შესახებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2012, № 1, გვ. 284; გ. ჯალაბაძე. მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. გვ. 203-230; ვ. ითონიშვილი. მოხვევების ყოფა-ცხოვრება. თბ., 2015, გვ. 31; Очерки Юго-осетинской автономной области. Ред. Робакидзе А., Тб., 1985, გვ. 131-132.

² ვ. ითონიშვილი. მოხვევების ყოფა-ცხოვრება. გვ. 43-44.

³ ვ. ითონიშვილი. ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა. თბ., 1969, გვ. 224.

⁴ Гадиев С. Арагвинский Князь, Рассказы, Азая: <http://biblio.darial-online.ru/text/Seka-Gadiev/stories-rus.shtml>

რი ცვლილებების ფონზე განხორციელდა. როგორც თრუსოს, ისევე ხევის სოფლების, მინათმოქმედებაში XX საუკუნის დასაწყისისათვის შემცირდა ტრადიციული სასოფლო სამეურნეო მარცვლეული კულტურების მასშტაბი და წამყვანი როლი კარტოფილმა დაიჭირა. ჩრდილო კავკასიასთან ინტენსიური ეკონომიკური კავშირების დამყარების შემდეგ თრუსოში იქედან დაიწყო სიმინდის და პურის ფქვილის შემოტანა. რაციონში მნიშვნელოვან საკვებად იქცა მჭადი. შემოტანილმა ხორბლის ფქვილით გამომცხვარმა პურმა თანდათანობით ჩაანაცვლა ქერისა და ქერსვილის პური. შედეგად, შემცირება დაიწყო პურეული კულტურების სათესმა ფართობებმა, რომელთა დამუშავება განსაკუთრებით მძიმე შრომას მოითხოვდა¹. უფრო მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა მესაქონლეობამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ამ დროისათვის დასრულდა კავკასიის ომები და ხელმისაწვდომი გახდა ჩრდილოკავკასიის ზამთრის საძოვრები, რამაც წვრილფეხა მესაქონლეობის (მეცხვარეობის) პერსპექტივა შეუდარებლად გაზარდა.

მეცხვარეობა საუკუნის 70-80-იანი წლებიდან ხევისა და თრუსოს მოსახლეობამ ფართოდ აითვისა ჩაჩნეთისა და ყიზლარის ზამთრის საძოვრები, სადაც ცხვარს ოქტომბრიდან აპრილის ბოლომდე ამყოფებდნენ. ამასთან, კაპიტალისტური ურთიერთობის თანდათანობით განვითარების გამო, მეცხვარეობა ვიწრო შინამოხმარების ჩარჩოებიდან გამოდიოდა, მისი ხვედრითი წილი ადგილობრივ ეკონომიკაში განუზომლად იზრდებოდა და მთელ სამეურნეო ინტერესებს იქვემდებარებდა². ზამთრის საძოვრებზე ცხვრის გარეკვისას, პირველ წლებში, ოსები მოულოდნელ წინააღმდეგობას წააწყდნენ. როდესაც ცხვარი ყიზლარში გამოაზამთრეს, აღმოჩნდა რომ ბევრი პირუტყვი დაუავადდათ და დიდი ზარალი ნახეს. ცხვრის ავადმყოფობის მიზეზად ადგილობრივები თვლიან იმას, რომ შედარებით თხელმატყლიანი ოსური ჯიშის ცხვარი სიცივეში, ღია საძოვარზე, უფრო ადვილად ავადდებოდა. ამის შემდეგ თრუსოელ ოსებს თუშური ჯიშის ცხვრის მოშენება დაუწყიათ და ზოგჯერ ერთ ცხვარში ორ ცხვარსაც ცვლიდნენ. ოსების მეცხოველეობის პროდუქტების შემსყიდველი ძირითადი პუნქტი XX საუკუნის 30-იან წლებამდე ფასანაური ყოფილა³. ეკონომიკური განვითარება მოსახლეობის რაოდენობრივი მატების შესაძლებლობას იძლეოდა. ასე რომ, XX საუკუნის 30-იან წლებამდე თრუსოში მოსახლეობის რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც, ეკონომიკური საქმიანობის არეალის გაფართოებისა და მეურნეობის რადიკალურ ცვლილებების შედეგად სამეურნეო რესურსების ბაზის გაზრდამ განაპირობა⁴.

¹ ვ. ითონიშვილი. მოხვედრის ყოფა-ცხოვრება. გვ. 37.

² გ. ჯალაბაძე. მინათმოქმედება თერგის ხეობაში. გვ. 201-202.

³ იქვე, გვ. 229.

⁴ რ. თოფჩიშვილი. თრუსო საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე. გვ. 10-11.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. თერგის ზემო წელში მნიშვნელოვნად შემცირებული სამინათმოქმედო კულტურები მოსახლეობის მოთხოვნებს ველარ უზრუნველყოფდა. საქართველოს ბარის რაიონებთან ძველად არსებული ეკონომიკური კავშირები და კომუნიკაცია შესუსტებული იყო, ჩრდილოეთ კავკასიასთან საზღვარს კი მკაცრად აკონტროლებდა ხელისუფლება, რომელმაც კოლექტივიზაციის პარალელურად თითქმის მთლიანად აიღო ხელში სასოფლო-სამეურნეო საქონლის რეალიზაცია. გლეხები ვალდებული იყვნენ ჭირნახულის ძირითადი ნაწილი დამამზადებელ ორგანიზაციებში ჩაებარებინათ¹. ყაზბეგის რაიალმასკომმა აკრძალა ნებართვის გარეშე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემოტანა-გატანა². შედეგად, არნახულად გაიზარდა ფასი სიმინდსა და ხორბალზე, მომრავლდა კონტრაბანდული გზით სოფლის მეურნეობის პროდუქტის გადაზიდვისა და კორუფციის ფაქტები, რამაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა მოსახლეობა³.

XX საუკუნის 30-იან წლებში გატარებულმა სოფლის კოლექტივიზაციამ კიდევ უფრო გაართულა თრუსოს მცხოვრებთა მდგომარეობა. კერძო პირებს ცხვრის ფარები და მსხვილფეხა საქონლი ჩამოართვეს და საკოლმეურნეო ფერმებში გააერთიანეს, მთის ფერდობებზე შეფენილი ტერასები არარენტაბელურად მიიჩნიეს და მთლიანად სათიბებად აქციეს. ამიერიდან ხვან-თესვა მხოლოდ ქვედა ზოლში განლაგებულ ნაკვეთებში წარმოებდა. ასეთი მიწის ნაკვეთები შედარებით მოსახერხებელი იყო ტრაქტორით დამუშავებისათვის და კოლმეურნეობების საშუალებით ზღუდავდა როგორც ტრადიციული მარტივი შრომის იარაღების გამოყენებას, ისე ინდივიდუალურ მეურნეთა აქტივობას. საკოლმეურნეო მოძრაობის საწყისი ეტაპი დაიწყო სხვადასხვა ტიპის სამეურნეო ორგანიზაციების ჩამოყალიბებით, როგორც იყო: „თერგის ხევის მერძვე-მესაქონლეობის რაიონის კავშირი“, „მატყლის კავშირი“, „ხევის რაიონის აგროპუნქტი“, „მერძვეთა კოლექტივი“⁴.

მოსახლეობა შეძლებისდაგვარად ეწინააღმდეგებოდა საქონლისა და მიწების არტელებში გაერთიანების პროცესს და ამისათვის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებსაც კი იყენებდა. მაგალითად 1931 წლის თრუსოს საბჭოს მიმართავაში ყაზბეგის რაიალმასკომისადმი ნათქვამია: „მუშა საქონლის განსაზოგადოება არ შეიძლება, ცხვრის ფარა ყიზლარშია და არც ძროხების გაერთიანება შეიძლება“. ასე რომ, საბჭოს აზრით, არტე-

¹ ყაზბეგის რაიალმასკომის სხდომის ოქმები. საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 284, საქმე 1942, ფურც. 14.

² იქვე.

³ იქვე, ფურც. 20-21.

⁴ ს. მაკალათია. ხევი. ტფ., 1934, გვ. 72-83.

ლის დაარსება თრუსოს ხეობაში ზედმეტია¹. ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად მოსახლეობის უმეტესობა არტელებში გაართიანეს და ხორცზე, მატყლზე, რძის პროდუქტებზე გეგმები დაუნესეს. ცალკე გამოყვეს შეძლებული მეურნეები, კულაკები, მათ შედარებით მაღალი გამოსაღები დაუნესეს², შეუზღუდეს სამოქალაქო უფლებები³, მოგვიანებით კი ნაწილი დააპატიმრეს.

მთლიანად მოიშალა ტრადიციული სავაჭრო სისტემა. თუ ადრე ოსები, როგორც კერძო პირები, მეცხოველეობის პროდუქტს საქართველოში (ძირითადად ფასანაურში) ასაღებდნენ, ამიერიდან მას სახელმწიფო იბარებდა. ამასთანავე, შემცირდა სამეურნეო კონტაქტები ოსებსა და მოხევეებს შორის. კომპაქტურად დასახლებულ ოსურ სოფლებში საკოლმეურნეო საქმიანობაში ჩაბმული რიგითი ადამიანებიც და ხელმძღვანელობაც ადგილობრივი ოსები იყვნენ, მათ აღარ ჰქონდათ მეზობელ ქართველებთან წინანდებურად ხშირი ურთიერთობა.

თრუსოს ხეობის სოფლების შენობები და დასახლების ტიპი მდებარეობითა და ნაგებობების ესპლოატაციის ხასიათით შეესაბამებოდა უფრო შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელ სოციალურ ყოფას. ამგვარ დასახლებას თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა, ერთ სივრცეში ადამიანების მოზრდილი ჯგუფი, დიდ გაერთიანებებად ცხოვრობდა და ელემენტარული საცხოვრებელი პირობებით კმაყოფილდებოდა. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან შეცვლილი სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნებისათვის ამგვარი დასახლება სრულიად გამოუსადეგარი იყო. ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრება მოითხოვდა გამოცალკევებულ საცხოვრებელ ნაგებობას, რაც სოფლის ახლებურად განვითარებას გულისხმობდა. ხანგრძლივმა მშვიდობიანობამ, ეკონომიკური პროფილის ცვლილებამ და საცხოვრებლის ირგვლივ საკარმიდამო ნაკვეთის გაჩენამ დასახლების ფორმის ცვლილების აუცილებლობა გამოიწვია, რაც გორიდან ჩამოვაკების და სოფლის სივრცული განფენილობის ზრდის ტენდენციაში გამოიხატა. მაგ., სოფელ სიონს (ხევში) გასული საუკუნის 60-იან წლებში უკვე ერთი კილომეტრის სიგრძის და ნახევარი კილომეტრის სიგანის ტერიტორია ეჭირა (ამჟამად მას ბევრად დიდი ტერიტორია უკავია), მაშინ როდესაც მე-20 საუკუნის დასაწყისში ეს სოფელი 0,5 ჰა ბორცვზე იყო დასახლებული.⁴ თრუსოში სოფლების სივრცობრივი ზრდა ლანდშაფტისა და სამეურნეო გარემოს გამო მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული. მართალია, ზვავისაგან

¹ ყაზბეგის რაიადმასკომის სხდომის ოქმები. საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 284, საქმე 1942, 9.06.1931-3.12.1932, ფურც. 14.

² იქვე, ფურც. 18-19.

³ იქვე, ფურც. 41.

⁴ ვ. ითონიშვილი. ხევი ძველად და ახლა. თბ., 1967, გვ. 66-75.

მიუწვდომელ ადგილებში მდინარის ხეობის მოშორებით განლაგებული ძველი დასახლებები კარგად იყო დაცული მდინარის ადიდებისა ზვავსა-შიშროებისაგან, მაგრამ ახალი დასახლებული პუნქტების გაჩენა, ან ძველი სოფლების სივრცობრივი განვითარება, ლანდშაფტური თავისებურები-დან გამომდინარე, პერსპექტივას მოკლებული იყო, რაც თრუსოს მნიშვნე-ლოვნად განასხვავებდა ხევის სოფლებისაგან.

XX საუკუნის 20-იან წლებში მწვავედ დადგა განათლების პრობლემაც. მთის რთული რელიეფი, მკაცრი ბუნებრივი გარემო და უგზოობა აფერ-ხებდა სკოლების მშენებლობას. 1932 წლისათვის ყაზბეგის რაიონში სულ 34 სკოლა ფუნქციონირებდა, თუმცა აქედან მხოლოდ ორი აკმაყოფილებ-და მოთხოვნებს. თრუსოს ცალკეულ სოფლებში სკოლები კი გახსნეს, მაგ-რამ შენობებს გლახებისაგან ქირაობდნენ და სრულიად შეუსაბამო იყო სასწავლებლისათვის როგორც ფართობისა და საკლასო ოთახების მოწ-ყობის, ასევე ჰიგიენური თვალსაზრისით¹.

ამგვარ პირობებში გაიზარდა ოსი მოსახლეობის ჩრდილოეთისაკენ ლტოლვა. მით უფრო, რომ ამას საბჭოთა ხელისუფლებაც უწყობდა ხელს და მათი ეროვნული ინტერესებიც. ოსური მიგრაციის პირველი ტალღა (1921-1928 წწ.) ხელისუფლების მიერ იყო ორგანიზებული. როგორც ბ. კა-ლოვეი მიიჩნევს, ჩრდილო კავკასიის ველზე და სამხრეთ მთისწინეთში მთიელი ოსების ჩასახლებამ ოსთა ეროვნული განვითარებაში განსაკუთ-რებულად დადებითი როლი ითამაშა². ამ პროცესის ერთგვარ გაგრძელე-ბას წარმოადგენდა 1940-იან წლებში თრუსოელი ოსების ჩრდილოეთ კავ-კასიიდან დეპორტირებული ინგუშების ნასახლარებზე დამკვიდრება.

1944 წლის 7 მარტს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებუ-ლებით გააუქმეს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ და მისი ტერიტორია გადაანა-წილეს მეზობელ რესპუბლიკებს შორის. თითოეულ მათგანს დაევალა 1944 წლის 15 აპრილამდე გადაესახლებინა კოლმეურნეები დაცარიელებულ სოფლებში და უზრუნველყოთ საგაზაფხულო სამუშაოების დაწყება. ამასთანავე, მათვე დაევალათ ყოფილი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის შემდგომი დასახლებისა და ათვისებისათვის ღონისძიებების შემუშავება³.

1944 წლის გაზაფხულზე დაიწყო ყაზბეგის რეგიონის ოსების სტიქიუ-რად აყრა და ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლება. ისინი ვლადიკავკაზის

¹ ყაზბეგის რაიადმსკომის სხდომის ოქმები. საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 284, საქმე 1942, 9.06.1931-3.12.1932, ფურც. 49-51.

² Калоев Б. Осетины - Историко-этнографическое исследование. გვ. 63.

³ სსრკ-ს სახალხო კომისრთა საბჭოს 1944 წლის 9 მარტის №225-74 სს დადგენილება. მოს-კოვი, კრემლი. საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 600, საქმე 6942, ფურც. 76; Патиев И. Ингуши, депортация, возвращение, реабилитация: 1944-2004: документы, материалы, комментарии. Магас, 2004, გვ. 109-110.

მიდამოებში სტალინური რეჟიმისაგან დეპორტირებული ინგუშების ნა-სახლარებზე ბინადებოდნენ. მონათესავე ოსებთან უშუალოდ გამეზობ-ლება, ეკონომიკური სარგებელი, შედარებით ხელმისაწვდომი განათლება, ახლო ნათესაური და მეგობრული კავშირები მათი გადასახლების მოტი-ვაციას ზრდიდა. თრუსოსა და ლუდას მკაცრი გარემო პირობები და გაუ-მართავი ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო აცხოველებდა ამ ადგილების დატოვების სურვილს. თერგის ზემო წელის ოსური მოსახლეობის ძირითა-დი ნაწილი უშუალოდ ჩრდილო ოსეთში გადავიდა და არა საქართველო-სათვის გადმოცემულ ტერიტორიაზე. ამის გამო გართულდა მიგრაციული პროცესის მონქსრიგება და კონტროლი. საჭირო გახდა რაიონიდან ჩრდ. ოსეთში გასახლებული კომლების რაოდენობის დაზუსტება, მათი აღრიც-ხვიდან მოხსნა, ახალ საცხოვრებელ ადგილზე პირადი ქონების გატანის ორგანიზება, დაშლილი ოჯახების გაყრის ოფიციალურად გაფორმება. უნ-და ითქვას, რომ ადგილობრივი ხელისუფლება რეგიონის მოსახლეობისა-გან დაცლას არასასურველ მოვლენად მიიჩნევდა. გამოითქვა მოსაზრება, სასტიკად აკრძალულიყო რაიონიდან სხვა ადგილზე საცხოვრებლად გა-დასვლა¹. თუმცა, ამას მიგრაციის მასშტაბის შემცირება არ მოჰყოლია.

ოსები ცდილობდნენ ახალ ადგილებშიც ერთმანეთის მეზობლად და-სახლებულიყვნენ. სოფ კობიდან ოსები გადავიდნენ შემდეგ სოფლებში: დლინდალინა, ბაზურკინა, კანტიმი, ბალთა, გიზელი. ჩერნოვოჩიე; სო-ფელ ოქროყანიდან სოფლებში: ბაზურკინა, კანტისი, ალიურტა, ეკანსოვა, არიკიყაუ, კოსტ-ყაუ, ბალთა, ყობანი; სოფელ აბანოდან გარეუბნის სოფ-ლებში: ჩერმეკი, ნარტოვი, თერეკი, კოსტა ხეთაგუროვის რაიონი სოფ. ნართოვი²; სოფ გიმარადან გადასახლდნენ ასევე ძირითადად გარეუბნის რაიონის სოფლებში: ჩერმენი, კოსტა ხეთაგუროვის რ-ნი სოფ. ნართოვი, ჩალუქსკის რაიონი სოფ. კანტისი³.

გადასახლებულებს მიჰქონდათ პირადი მოხმარების ნივთები და მიჰ-ყავდათ საკუთარი და კოლმეურნეობის საქონელი⁴. ოჯახებს კერძო სა-კუთრებაში ჰყავდათ მხოლოდ 1-2 მსხვილფეხა საქონელი და 2-3 ცხვარი. კოლმეურნეობა კი ძირითადად მეცხვარეობაზე იყო ორიენტირებული. რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და სამეურნეო პირობები ამ-გვარი რესურსებით ოჯახების არსებობას თითქმის შეუძლებელს ხდიდა

¹ საპატაკო ჩანანერები ჩრდ. ოსეთის ცენტრალური კომიტეტის (ბ) საქართველოს კპცკ-ს სახელზე და სხვა მასალები ყაზბეგის რაიონის ჩრდ. ოსეთში გადასახლებული კოლმეურნეობის საჩივრები. შინაგან საქმთა სამინისტროს არქივი (ყოფილი პარტიუ-ლი ორგანოების არქივი), 10.03.1945-31.07.1945, ფონდი 14, აღწ. 19, საქმე 207, ფურც. 3.

² შინაგან საქმთა სამინისტროს არქივი (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი) ცხრილი, ფონდი 14, აღწ. 19, საქმე 207, ფურც 61.

³ იქვე, ფურც. 64-68.

⁴ იქვე, ცხრილი, ფურც. 56-57.

და ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლება ამ მოსახლეობისათვის ერთგვარ გამოსავალს წარმოადგენდა.

1944 წელს ოსთა ნაწილის ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლების შემდეგ თრუსოს დემოგრაფიული მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. დაიწყო ხეობის სწრაფი დაცარიელება. მოსახლეობის იმ ნაწილს რომელიც ადგილზე დარჩა, ჩრდილო კავკასიაში გაუჩნდა მრავალრიცხოვანი სანათესაო, სადაც ყოველთვის შეეძლო განათლების მისაღებად ახალგაზრდების გაგზავნა, სამსახურის შოვნაში შემწეობის მიღება ან უბრალოდ, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის გადასვლა. უნდა ითქვას, რომ ოსების გასახლებას არ გამოუწვევია ყაზბეგის რეგიონის მესაქონლეობის დაკნინება, პირიქით ამგვარი სიტუაცია ხელსაყრელიც კი იყო მეცხვარეობის გაფართოებისათვის. მეცხვარეობის ხვედრითი წილი ამ პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა.

ოსური ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიშალა. ხშირად ძირითადი შემადგენლობა ჩრდილო ოსეთში ცხოვრობდა, თრუსოში კი მხოლოდ მოხუცები იყვნენ დარჩენილი. კოლემურნეობებში დასაქმებული ოსი მწყემსები საკოლმეურნეო ფერმების და კერძო მეურნეთა საკუთრებაში მყოფ ცხვრის ფარებს ზაფხულში ყაზბეგის რაიონის მთის ფერდობებზე აძოვებდნენ, ზამთარს კი ჩრდილოეთის ველებზე ატარებდნენ. ამ ვითარებაში გამოთავისუფლდა ბევრი შენობა-ნაგებობა და კოლმეურნეობებს საშუალება მიეცა მათთვის უკვე ახალი ფუნქციები დაეკისრებინა¹.

1957 წლის 9 იანვარს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჩეჩენი და ინგუში ხალხების რეაბილიტაცია მოახდინა, ისინი კავკასიაში დააბრუნა. აღადგინა მათი ავტონომია და 1944 წლის 7 მარტამდე არსებული საზღვარი². თუმცა ყაზბეგის რეგიონიდან ოსების მიგრაციის პროცესი არ შენელებულა, პირიქით – უფრო გაძლიერდა და ოსების რაოდენობა 10 წელიწადში განახევრდა, 2007 ადამიანიდან (1959 წ.) 983 -მდე (1970 წ.) ჩამოვიდა.

სპეციალური ლიტერატურის და საველე მასალის მიხედვით ირკვევა, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან თრუსოს ოსები ძირითადად ზაფხულის საძოვრებად და სააგარაკოდ იყენებდნენ, ხოლო მუდმივად მცხოვრებთა (ძირითადად ხანდაზმულები) რიცხვი საკმაოდ შემცირებული იყო. ეს თავისებურება ასახულია თერგის ზემო წელზე არსებულ სასაფლაოებზეც. კასარის გასასვლელს ზემოთ მდებარე სოფლები – რესი, თეფი, ზაქაგორი, გიმარა, სუატისი, ქართაყაუ, დესი, ცოცოლთა, აბანო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებამდე დაცლილა მოსახლეობისაგან და ამის შემდეგი წლების საფლავის ქვები თითქმის აღარ გვხვდება. კასარის აქეთ

¹ გაზეთი „ახალი ხევი“, 25 მაისი, 1945 წ.

² საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 1343.

სოფლებში: ნოგყაუ. შევარდენი, ოქროყანა კი რამდენიმე საფლავის ქვა გასული საუკუნის 80-90-იანი წლებითაც თარიღდება.

საბჭოთა სისტემის კრახის და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ კიდევ ერთხელ შეცვალა თერგის ზემონელის მოსახლეობის სამეურნეო ვექტორი და მნიშვნელოვნად შეზღუდა თრუსოდან წასული ოსების ეკონომიკური კავშირის შესაძლებლობა რეგიონთან. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასწყისში გამეფებულმა განუკითხაობამ გარკვეული გავლენა იქონის ოსთა დარჩენილი ნაწილის გადინებაზე და მათ თითქმის მთლიანად დატოვეს ეს კუთხე. რუსეთის ფედერაციასთან ჩაკეტილი საზღვრის პირობებში, გადასახლებულებისათვის მიუწვდომელი გახდა თრუსოს ზაფხულის საძოვრები. ასევე წარსულს ჩაბარდა გასული საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბებული ურთიერთობები, რაც ყაზბეგის რაიონში განვითარებული სასათბურე მეურნეობისაგან მიღებულ პროდუქციის გატანაში საქართველოდან წასული ოსების, როგორც მთავარი დისრიბუტორების მონაწილეობას გულისხმობდა. დღეისათვის შექმნილ პირობებში, როცა მეცხოველეობას და მინათმოქმედებას აღარ შეუძლია ყაზბეგის რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების მთლიანად უზრუნველყოფა, ერთადერთ პერსპექტიულ დარგად ტურიზმი რჩება. მართალია ტურიზმის სფეროში ოსების მონაწილეობას გარკვეული დადებითი როლი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მის განხორციელებას საფუძვლიანად ზღუდავს ნეგატიური ოსური ფაქტორი ამჟამინდელ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში.

SOME ASPECTS OF THE ETHNODEMOGRAPHIC DYNAMICS OF TRUSSO

Lavrenti Janiashvili

Georgia

Since the early 2000s, Russian analytical circles have been developing the concept of a third Russian attack on the Caucasus, in which special attention is drawn to the problem of Georgia. The ultimate goal of the Russian attack is to disintegrate Georgia and incorporate most of its territory: Racha, northern Shida Kartli (formerly South Ossetian Autonomous Okrug), Kazbegi municipality and Borjomi Gorge (so-called Trialeti Ossetia) into a „single Ossetian“ state¹. As a result, Russia will be directly connected with Armenia and the port of Batumi by rail and highway; this will also significantly increase the mobility of Russian troops to the south¹. In such a geopolitical perspective, an important role is assigned to the transfer of the upper reaches of the Terek to „South Ossetia“, which is actually a precondition for establishing control over the Dariali Gorge and depriving Georgia of its ancient historical function. To pave the way for the desired reality, publications have become more frequent in which they try to include the Kazbegi region in the „United Ossetian State“ in order to restore historical justice². Thus, the uninhabited upper reaches of the Terek (historic Georgian province of Truso, where Ossetians settled in the 17th century) was declared „East Ossetia“; the Georgians are accused of „expelling“ the Ossetians from this territory, thereby paving the way for the return of „East Ossetia“ to the „Ossetian state“.

Under the influence of such a conjuncture, some contemporary authors unconditionally link the depopulation of Truso and Guda with the policy of the Georgian government, which as they say, had long and purposefully sought to expel Ossetians from the „historic lands of East Ossetia“.

¹ Чернов М. Осетия - Рождение большой мечты. М., 2013, pp. 9, 18, 20-21.

² Остаев С. Восточная Алания. Никто не забыт, ничто не забыто, 11.02.2019:

<https://respublikarso.org/analytics/2416-vostochnaya-alaniya-nikto-ne-zabyt-nichto-ne-zabyto.html>;

Козаев С. Отрезанная от дома Восточная Осетия: вернуть нельзя забыть... газета „Южная Осетия“, 24.08.2017: <http://www.nykhas.ru/340439/otrezannaya-ot-domavostochnayaosetiya-v/>; Восточная Осетия: дискриминация осетин продолжается. газета „Южная Осетия“ (Главная), 12.09.2018:

<https://ugo-osetia.ru/obshhestvo/vostochnaya-osetiya-diskriminatsiya-osetin-prodolzhaetsya>;

